



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თაფლოვანი მცენარეები

თაფლოვანი მცენარეები, ფარულთესლოვანი მცენარეების დიდი ჯგუფი, რ-თა ყვავილებისაგან ფუტკრები ნექტარსა და ყვავილის მტვერს აგროვებენ და ამუშავებენ – ნექტარს აქცევენ თაფლად, მტვერს – ჭეოდ. ნექტარს მცენარე აგროვებს სპეც. ჯირკვლებში – სანექტრეებში, რ-ებიც ყვავილის ნასკვსა და მტვრიანების ძირშია მოთავსებული და სხვადასხვა ფორმა აქვს.

საქართველოში 600-მდე თაფლოვანი მცენარეა. მათგან პრაქტ. მნიშვნელობა აქვს 50-მდე სახეობას. ისინი გავრცელებულია როგორც დაბლობისა და მთის ტყეებში, ისე სუბალპ. და ალპ. მდელოებზე. თ.მ-ის სახეობრივი შემადგენლობა და ყვავილობის ვადები სხვადასხვაა. არის ისეთი თ.მ-ც, რ-თაგან მიღებული თაფლი არათუ „ათრობს“ ადამიანს, არამედ ნამლავს კიდევ (მაჭალვერი, მელიქაური, იელი, თამბაქო), თაფლოვანი ხემცენარეებიდან საუკეთესოდ ითვლება ც ა ც ხ ვ ი (*Tilia begonifolia*, იზრდება მთელ საქართველოში, მთის შუა სართყლამდე, ტყეებში, ტყის პირებსა და მდინარეთა ხეობებში), ნ ვ რ ი ლ ფ ო თ ო ლ ა ც ა ც ხ ვ ი (*T. cordata*, გვხვდება მთიულეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში, უპირატესად მთის ზედა სართყლის ტყეებში), ც რ უ ა კ ა ც ი ა (*Robinia pseudoacacia*, ფართოდ არის კულტივირებული საქართვე. თითქმის ყველა რ-ნში, ზოგჯერ გავლურებულიცაა), ქ ა ც ვ ი (*Hippophae rhamnoides*, უმთავრესად ალმ. საქართველოში იზრდება, ქმნის გაუვალ რაყას მდინარეთა ხეობებში). ბალახებიდან საუკეთესო თაფლოვანი მცენარეებია: ესპარცეტის სახეობები, მაგ. კ ა ხ უ რ ი ე ს პ ა რ ც ე ტ ი (*Onobrychis kachetica*), რ-იც ქართლისა და კახეთის დაბლობ ადგილებში იზრდება; მ ე ს ხ უ რ ი ე ს პ ა რ ც ე ტ ი (*O. meschetica*) კი მხოლოდ ახალციხის ქვაბულსა (მესხეთი) და მდ. აჭარინწყლის ხეობაში (ხულოს მიდამოები) გვხვდება; სამყურას ზოგიერთი მრავალწლოვანი სახეობა, მაგ., ბ ა ნ ჯ გ ვ ლ ი ა ნ ი ს ა მ ყ უ რ ა (*Trifolium trichocephalum*), ჭ ა ღ ა რ ა ს ა მ ყ უ რ ა (*T.*

canescens), ა ლ პ უ რ ი ს ა მ ყ უ რ ა (T. alpestre), წ ი თ ე ლ ი ს ა მ ყ უ რ ა (T. pratense) და სხვ., ყველა ეს სახეობა გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში; პირველი ორი სახეობა ძირითადად მაღალმთის ტენიანი მდელოების კომპონენტებია; ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ძ ი ძ ო (Melilotus officinalis) იზრდება მთელ საქართველოში მთის ქვედა სარტყლიდან მოკიდებული ზედა სარტყლამდე. ხ უ თ ყ უ რ ა ს ერთი სახეობა (Dorycnium graecum) უფრო დას. საქართველოში, კირქვიანებზე არის გავრცელებული.

**ლ. ხინთიბიძე**

---